ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3822851

ნომერი: AR1575811

თარიღი : 07.02.2018

გაცემის თარიღი : 14.02.2018

გაცნობის თარიღი : 15.02.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სამგორის მაგისტრალურ არხსა და თეთრ ხევს შორის, (ნაკვ. 38/015) ; ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეთუ ჩარკვიანი პ/ნ 15001000317
- თბილისი მ.თამარაშვილის ქ. N 13 ბ. 68

ორგანიზაცია:
- შპს „ნეპტუნი მენეჯმენტი“ კოდი: 405160720

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- II კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 3496716
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 14.09.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 07/02/2018 წ. AR1575811 განცხადება , რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - სამგორი, სამგორის მაგისტრალურ არხსა და თეთრ ხევს შორის (ნაკვ. #38/015), შ.პ.ს „ნეპტუნი მენეჯმენტი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდით N 01.19.10.038.051), მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალადგილიანი ავტოსადგომის მოწყობის, ავტობუსებისთვის ღია ავტოსადგომი,სარემონტო-სამრეცხაო ბოქსები და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო შენობის მშენებლობის და საკონტროლო-გამშვები პუნქტის შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 14/09/2017 წ. N ბ-19/0117299869-17 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევების წერილობით დადასტურებას.

საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის ხელახლა განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა წარმოადგინოთ ქუჩის მხრიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები (რომ დავადგინდეს ჩაუხედაობის პრინციპის გათვალისწინებით ამ ნაწილში კაპიტალური ღობე მოწყობილია თუ არა) ღობის არ არსებობის შემთხვევაში საჭიროა მოეწყოს ღობე პროექტის მიხედვით და წარმოადგინოთ 4/09/2017 წ. N ბ-19/0117299869-17 ბრძანებაში შეტანილი ცვლილების აქტი , რომელშიც კაპიტალური ღობის ნაცვლად ნაწილობრივ მოწყობილი მავთულბადის ღობის შესახებ ინფორმაცია აღარ იქნება დაფიქსირებული. განახლებული აქტი და ფოტოსურათები აიტვირთოს ფაილის მიმაგრება ველში დამატებით .

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 30 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.